სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 08

2019 წ. "06" 03

ქ.თბილისი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2019 წლის 21 თებერვალს სააპელაციო საბჭოს წარედგინა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №206998) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №135 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება საკვები პროდუქტების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ საჩივარი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^3 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და ამავე დებულების 28^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის № 35/694 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი